საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N639 2024 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

9 მაისის – ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ლ“ და „ჰ[3]“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლისა და „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში დაწესდეს ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის 2000 ლარისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრთათვის 1000 ლარის ოდენობით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება არ გაითვალისწინება

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული/რეგისტრაციის მაძიებელი ოჯახ(ებ)ის შემოსავლებში და არ არის ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის შეჩერების/შეწყვეტის ან/და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების საფუძველი.

3. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების გაცემა უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) სახელმწიფო სოციალური შინაარსის ფულადი გასაცემლების გაცემაზე/დარიგებაზე მომსახურე შესაბამისი საბანკო დაწესებულების მეშვეობით, ამ განკარგულების მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიწოდებული სიის საფუძველზე. სააგენტო დამატებით უზრუნველყოფს მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) შედარებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიწოდებულ მონაცემთა ბაზასთან, 2024 წლის პირველი მაისის მდგომარეობით ცოცხლად მყოფ პირთა დაზუსტებისა და ამ პირებზე სოციალური დახმარების გაცემის მიზნით.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე

მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) განხორციელდეს „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული „სხვა მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 02 02 08) ასიგნებიდან.

5. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა არაუგვიანეს 2024 წლის 5 მაისისა:

ა) სააგენტოს მიაწოდოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეგისტრირებული (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების შესაბამისი სახელობითი მონაცემები;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიაწოდოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების შესაბამისი სახელობითი მონაცემები.

6. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, უზრუნველყოს ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის 2000 ლარისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის 1000 ლარის ოდენობის ფულადი დახმარების გაცემის მიზნით შესაბამისი სახსრების გამოყოფა.

№1

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**